

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №307

1 ოქტომბერი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების I შესახვევისთვის, ნავთლუღის დასახლების II შესახვევისთვის და ერთი გასასვლელისთვის ფსიქიატრის, აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ნავთლუღის დასახლების I შესახვევს, ნავთლუღის დასახლების II შესახვევს (ნავთლუღის დასახლების I შესახვევი, ნავთლუღის დასახლების II შესახვევი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად) და ერთ გასასვლელს მიენიჭოს ფსიქიატრის, აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

